

„ვამტკიცებ“
შპს „დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო
უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის“

დირექტორი მ. ტვილდიანი
ბრძანება N07; 07.06.2018წ.

ცვლილებები:

დირექტორის 2018 წლის 05 ოქტომბრის ბრძანება N 33 - ცვლილებები და დამატებები

არჩევითი (არასავალდებულო) კურსის პროფესიულ სტუდენტთათვის მიწოდება, მისი
განხორციელების, შეფასების წესი და პროცედურები

შესავალი

შპს „დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საქონლო კოლეჯი“, შემდგომში კოლეჯი, ახორციელებს V საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას - პრაქტიკოსი ექთანი.

მრავალწლიანი ისტორიის მქონე უნივერსიტეტის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების და ამავდროულად ამ პროფილის დაწესებულების დაფუძნება განაპირობა ქვეყანაში არსებულმა მზარდმა მოთხოვნამ - კვალიფიციური ექთნების კადრთან მიმართებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დაწყების შემდეგ აღმოჩნდა, რომ რიგი საკითხები მართალია ინტეგრირებული იყო თეორიულ ნაწილში, თუმცა არა იმ სიღრმით, რაც პრაქტიკოსი ექთნის წინაშე რეალურ სამუშაო გარემოში არსებულ გამოწვევებს სრულად დააკმაყოფილებდა. აღნიშნულის აღმოფხვრის მიზნით სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსმა“ კოლეჯს მომართა წინადადებით შემუშავებულიყო დამატებითი სასემინარო მოდული (ებ)ი .

შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით, პარტნიორის ჩართულობით, კოლეჯის პროფესიული პედაგოგების დახმარებითა და ძალისხმევით შემუშავდა დამატებითი - არჩევითი (არასავალდებულო, არაპროგრამული) კურსაცია, განისაზღვრა მისი შინაარსი, მოცულობა და შესაბამისი ლიტერატურა.

კოლეჯის მიერ სტუდენტებთან, პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლების მონაწილეობით, დამატებით - არჩევითი კურსის შინაარსის, მნიშვნელობის, შედეგების შესახებ ჩატარებული იქნა საინფორმაციო სახის შეხვედრები.

შეხვედრების ანალიზმა განაპირობა არჩევითი კურსის კოლეჯის სტუდენტებისათვის სესიის სახით მიწოდება.

არჩევითი კურსის გავლა დამოკიდებულია სტუდენტის სურვილზე, არ არის სავალდებულო, არ ახდენს გავლენას მის სტატუსზე ან/და კვალიფიკაციაზე, ისევე როგორც მისი გავლა არ გულისხმობს კვალიფიკაციის მინიჭებას.

არჩევითი კურსისათვის სტუდენტი არ იხდის დამატებით საფასურს, თუმცა ეძლევა შესაძლებლობა არჩევითი კურსის შედეგებით მიიღოს პარტნიორის დაფინანსება და გარანტირებული სამსახური, პარტნიორი ორგანიზაციის დაქვემდებარებაში არსებულ სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებებში.

არჩევითი კურსის გავლის შესახებ სტუდენტის ნება ფიქსირდება წერილობით. შემდგომში არჩევითი კურსის მსვლელობის პროცესზე ვრცელდება სასწავლო პროცესის რეგულირებასთან დაკავშირებით გამოცემული ყველა სავალდებულო აქტი.

მუხლი 1. არჩევითი (არასავალდებულო) კურსია

1. არჩევითი კურსია მოიცავს 10 მოდულს:

ა) ჰისტოლოგია,

ბ) ანატომია-ფიზიოლოგია,

გ) პათოლოგია (პათანატომია-პათფიზიოლოგია),

დ) ბიოქიმია,

ე) მიკრობიოლოგია,

ვ) გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა,

ზ) დოზირების პრინციპები საექთნო საქმეში,

თ) საექთნო პრაქტიკის პრინციპები სხვადასხვა ტიპის სამედიცინო დაწესებულებებში

ი) სამართლებრივი ასპექტები საექთნო საქმეში,

კ) საექთნო მენეჯმენტის საფუძვლები.

[1. არჩევითი კურსია მოიცავს 12 მოდულს:

ა) ჰისტოლოგია,

ბ) ანატომია-ფიზიოლოგია,

გ) პათოლოგია (პათანატომია-პათფიზიოლოგია),

დ) ბიოქიმია,

ე) მიკრობიოლოგია,

ვ) გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა,

ზ) დოზირების პრინციპები საექთნო საქმეში,

თ) საექთნო პრაქტიკის პრინციპები სხვადასხვა ტიპის სამედიცინო დაწესებულებებში

ი) სამართლებრივი ასპექტები საექთნო საქმეში,

კ) საექთნო მენეჯმენტის საფუძვლები.

ლ) კომუნიკაცია საექთნო საქმეში

მ) შინ მოვლა - ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე და ვრცელდება 2018-2019 და შემდგომი სასწავლო წლის მიღების სტუდენტებისათვის; ცვლილება - დირექტორის 2018 წლის 05 ოქტომბრის N33 ბრძანება]

2. მოდულები სტუდენტებს მიეწოდებათ დაწესებულების მიერ გაწერილი საგანმანათლებლო პროგრამისაგან დამოუკიდებელი ცხრილით.
3. იმ შემთხვევაში თუ მოდული წარმოადგენს რომელიმე სხვა მოდულის წინაპირობას, პროფესიული სტუდენტი ვერ შეძლებს შესაბამისი მოდულის გავლას ჩავარდნილი მოდულის დადასტურების გარეშე.

მუხლი 2. არჩევითი (არასავალდებულო) კურსის შედეგები

ა) **ჰისტოლოგია** - მოდულის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია: ჰისტოლოგიის საფუძვლების, ძირითადი ჰისტოლოგიური ტექნიკის, უჯრედისა და მისი აგებულების, ეპითელიური, შემაერთებული, კუნთოვანი და ნერვული ქსოვილის შემადგენლობისა და სტრუქტურის განმარტება.

ბ) **ანატომია - ფიზიოლოგია** - მოდულის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია: ანატომიისა და ფიზიოლოგიის ბაზისური პრინციპების, საყრდენ-მამოძრავებელი, ნერვული, გრძნობათა ორგანოების, ენდოკრინული, კარდიოვასკულარული, ჰემატოლოგიური, რესპირატორული, საჭმლის მომნელებელი, შარდ-გამომყოფი, ლიმფური, იმუნური და რეპროდუქციული სისტემის სტრუქტურისა და ფუნქციის განმარტება.

გ) **პათოლოგია (პათანატომია-პათფიზიოლოგია)** - მოდულის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია: უჯრედის და ქსოვილის დაზიანებისას მიმდინარე პათოლოგიური პროცესის, სითხის მოცულობისა და ჰემოდინამიკის დარღვევების, აუტოიმუნური დაავადებების, ინფექციური და პარაზიტული დაავადებების, სეფსისის, კუჭნაწლავის სისტემის დაავადებების, სიმსუქნე და დიაბეტის, გულ-სისხლძარღვთა და სასუნთქი, შარდ-გამომყოფი, ენდოკრინული და ნერვული სისტემის დაავადებების აღწერა.

დ) **ბიოქიმია** - მოდულის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია: მედიცინის ბიოქიმიური არსის, უჯრედის მემბრანის ფუნქციის, სატრანსპორტო სისტემების, მჟავა ტუტოვანი წონასწორობის, ნახშირწყლებისა და ლიპიდების აგებულებისა და მეტაბოლიზმის, ამინო მჟავებისა და ცილების აგებულებისა და მეტაბოლიზმის, ნუკლეინის მჟავებისა და ნუკლეოტიდების, ვიტამინებისა და მინერალების, წყლის და ელექტროლიტების რაობა და კლინიკური მნიშვნელობის, სისხლის ქიმიის, pH და სისხლის ბუფერები, იმუნოლოგიური ბიოქიმიის აღწერა.

ე) მიკრობიოლოგია - მოდულის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია: მიკრობიოლოგიის ძირითადი პრინციპების, მიკრობიოლოგიური და სეროლოგიური, დიაგნოსტიკის, იმუნური სისტემის პათოლოგიების, იმუნოპროფილაქტიკის და იმუნოთერაპიის საკითხების, ადამიანის ჯანმრთელობაზე მოქმედი ბაქტერიების, ვირუსული ინფექციების მექანიზმების, სოკოვანი ინფექციური პროცესების ფუნდამენტური საკითხების აღწერა.

ვ) გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები - მოდულის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია: განმარტოს შემდეგი საკითხები - გადაუდებელი პაციენტის პრეჰოსპიტალურ დონეზე საექთნო მართვის ძირითადი პრინციპები; პრეჰოსპიტალურ და ჰოსპიტალურ დონეზე ტრამეების დროს პირველადი დახმარება; პირველადი დახმარების განმარტება გარდა ტრავმებისა პრეჰოსპიტალურ და ჰოსპიტალურ დონეზე; საველე, ჰოსპიტალურ დონეზე, მასობრივი შემთხვევის დროს ტრიაჟის.

ზ) დოზირების პრინციპები საექთნო საქმეში - მოდულის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია: რიცხვით სიმრავლეებში მათემატიკური ოპერაციების შესრულება, დოზირების ამოცანების ამოხსნის მათემატიკური მოდელების აგება, ხსნარების კონცენტრაციის განსაზღვრა, კონცენტრაციის ცვლილებებსა და დოზირების ამოცანების შესრულება.

თ) საექთნო პრაქტიკის პრინციპები სხვადასხვა ტიპის სამედიცინო დაწესებულებებში - მოდულის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია: პროფესიის განვითარების ისტორიისა და თანამედროვე ჯანდაცვის სისტემის სტრუქტურების, სამედიცინო დაწესებულების მოწყობის, სტრუქტურისა და ჯანდაცვის სფეროს დაფინანსების მექანიზმების განმარტება.

ი) სამართლებრივი ასპექტები საექთნო სამეში - მოდულის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია: ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ადამიანის უფლებების საერთაშორისო დაცვის ძირითადი დებულებების, საქართველოს ჯანდაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობისა და პაციენტის უფლებებისა და მოვალეობების განმარტება.

კ) საექთნო მენეჯმენტის საფუძვლები - მოდულის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია: საექთნო მენეჯმენტის, საექთნო განათლებისა და პროფესიული განვითარების ძირითადი პრინციპების განმარტება.

[ლ) კომუნიკაცია საექთნო საქმეში - მოდულის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია: ინტერპერსონალური კომუნიკაციის არსის განმარტება, ვერბალური, არავერბალური, წერილობითი კომუნიკაცია, პრეზენტაციის უნარების დემონსტრირება.

მ) შინმოვლა - მოდულის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია: შინმოვლის მახასიათებლების განსაზღვრა. შინმოვლის პაციენტის ინდივიდუალური მოვლის გეგმის შედგენა, შინმოვლის პაციენტის მოვლითი ღონისძიებების ჩატარება, მოვლისთვის ადეკვატური/უსაფრთხო გარემოს შექმნა, შინმოვლის პაციენტის, მისი ოჯახის წევრების/მეურვის კონსულტირება/სწავლება. - ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე და ვრცელდება 2018-2019 და შემდგომი სასწავლო წლის მიღების სტუდენტებისათვის; ცვლილება - დირექტორის 2018 წლის 05 ოქტომბრის N33 ბრძანება]

მუხლი 3. არჩევითი (არასავალდებულო) კურსის კრედიტებით გაანგარიშება

1. არჩევითი კურსის კრედიტებით გაანგარიშებისას დაწესებულების მიერ გამოყენებული იქნა საქართველოს განათლებისა მეცნიერების მინისტრის ბრძანება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ.
2. არჩევითი კურსის მოდულების დადასტურების შემთხვევაში სტუდენტს, ჯამურად ენიჭება 37 კრედიტი:

[2. არჩევითი კურსის მოდულების დადასტურების შემთხვევაში სტუდენტს ჯამურად ენიჭება 41 კრედიტი. - ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე და ვრცელდება 2018-2019 და შემდგომი სასწავლო წლის მიღების სტუდენტებისათვის; ცვლილება - დირექტორის 2018 წლის 05 ოქტომბრის N33 ბრძანება]

ა) ჰისტოლოგია - 2 კრედიტი,

ბ) ანატომია-ფიზიოლოგია - 10 კრედიტი ,

გ) პათოლოგია (პათანატომია-პათფიზიოლოგია) - 4 კრედიტი,

დ) ბიოქიმია - 4 კრედიტი,

ე) მიკრობიოლოგია - 4 კრედიტი,

ვ) გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა - 3 კრედიტი,

ზ) დოზირების პრინციპები საექთნო საქმეში - 4 კრედიტი,

თ) საექთნო პრაქტიკის პრინციპები სხვადასხვა ტიპის სამედიცინო დაწესებულებებში - 1 კრედიტი,

ი) სამართლებრივი ასპექტები საექტნო საქმეში - 3 კრედიტი,

კ) საექთნო მენეჯმენტის საფუძვლები - 2 კრედიტი.

[ლ) კომუნიკაცია საექთნო საქმეში - 2 კრედიტი;

მ) შინ მოვლა - 2 კრედიტი. - ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე და ვრცელდება 2018-2019 და შემდგომი სასწავლო წლის მიღების სტუდენტებისათვის; ცვლილება - დირექტორის 2018 წლის 05 ოქტომბრის N33 ბრძანება]

3. არჩევითი კურსის რომელიმე მოდულის კოლეჯის მიერ დადგენილი წესით ვერ დადასტურების შემთხვევაში სტუდენტს არ ენიჭება მოდულის კრედიტი.

მუხლი 4. არჩევითი (არასავალდებულო) კურსის შეფასების პრინციპები

1. არჩევითი კურსის შეფასებისთვის, გამოიყენება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მოდულის შეფასების პრინციპები და მეთოდები (იხ. სასწავლო პროცესის

მარეგულირებელი წესი). ამასთან მასზე სრულად ვრცელდება სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ყველა ის რეგულაცია და სტუდენტისთვის შესასრულებლად სავალდებულო აქტი, რაც დადგენილია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით, მათ შორის დასწრების, გადაბარების, შედეგების გასაჩივრების, მინიმალური კოეფიციენტის 55%-ანი [75%-ანი, გარდა მოდულისა „კომუნიკაცია საექთნო საქმეში“ სადაც შეფასების მინიმალური კოეფიციენტი 51%-ია - **ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე და ვრცელდება 2018-2019 და შემდგომი სასწავლო წლის მიღების სტუდენტებისათვის; ცვლილება - დირექტორის 2018 წლის 05 ოქტომბრის N33 ბრძანება**] ბარიერის დაკმაყოფილების შესახებ და ა.შ.

2. არასავალდებულო არჩევითი კურსის შედეგები ადგენს პროფესიული სტუდენტის მონაცემების პარტნიორი ორგანიზაციის დაფინანსების კრიტერიუმებთან შესაბამისობას ან/და დასაქმებისას ასეთი კურსდამთავრებულის გარკვეულ უპირატესობას.

მუხლი 5. არჩევითი (არასავალდებულო) კურსის შეფასების ფორმები

1. მოდულის სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია განმავითარებელი და/ან განმსაზღვრელი შეფასებით. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპის გამოყენებით.
2. სტუდენტის აკადემიური პროგრესის შეფასება ხორციელდება 100 ქულიანი სისტემით.
3. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

ამასთან შეფასებისას გამოიყენება რამოდენიმე კრიტერიუმი, რომელთა ხვედრითი წონა და მნიშვნელობა, დასადასტურებელი შედეგის შინაარსიდან გამომდინარე არგუმენტირებული პოციის შემთხვევაში შესაძლოა განისაზღვროს პედაგოგის მიერ. აღნიშნული გულისხმობს შესაძლებლობას სტუდენტის მიერ რომელიმე კრიტერიუმის ვერ დადასტურების შემთხვევაში, პედაგოგის გადაწყვეტილებით, მოდული/შედეგი ჩაითვალოს დადასტურებულად. კრიტერიუმების ხვედრითი წონის შესახებ შესაძლებელია სტუდენტი არ იყოს ინფორმირებული, რათა თავიდან იქნას აცილებული მხოლოდ მაღალი ხვედრითი წონის მქონე საკითხების დასწავლა.

4. პროფესიული სტუდენტის მიერ კურსის გავლის დასადასტურებლად უნდა დადებოდა შეფასდეს ყველა მოდული, ხოლო მოდულის ფარგლებში მისი შესაბამისი ყველა სწავლის შედეგი, რის საფუძველზეც სტუდენტს ენიჭება შესაბამისი კრედიტი. პროფესიული სტუდენტის შეფასებებისას მოდულის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევისთვის აუცილებელია, რომ თითოეული სწავლის შედეგი დადასტურებულ იქნას კრიტერიუმების შეფასების საშუალო არითმეტიკულით, არანაკლებ 55 %-სა [75 %- სა - გარდა მოდულისა „კომუნიკაცია საექთნო საქმეში“ სადაც შეფასების მინიმალური კოეფიციენტი 51%-ია **ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე და ვრცელდება 2018-2019 და შემდგომი სასწავლო წლის მიღების სტუდენტებისათვის; ცვლილება - დირექტორის 2018 წლის 05 ოქტომბრის N33 ბრძანება**] (სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი).

5. მოდულის ვერ დადასტურება შეფასების მიღების, შეფასებასთან დაკავშირებული პრეტენზიებისა და ნებისმიერ საკითხზე, რაც დაკავშირებულია სასწავლო პროცესთან, დასწრებასა თუ სტუდენტის უფლება-მოვალეობებთან, სრულად ვრცელდება სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი.

მუხლი 6. არასავალდებულო კურსის არჩევა და განხორციელების წესი

1. არჩევითი კურსის გავლა სტუდენტის მიერ არის ნებაყოფლობითი და დამოკიდებულია მხოლოდ მის სურვილზე.
2. სტუდენტს არჩევითი კურსის გავლით შესაძლებლობა ეძლევა ერთი მხრივ მიიღოს შრომის ბაზრის მოთხოვნის ადექვატური განათლება და მეორე მხრივ პარტნიორი ორგანიზაციის დაფინანსება და დასაქმების პირობა.
3. არჩევითი კურსის გავლის შესახებ სტუდენტი თანხმობას აფიქსირებს წერილობით, რა დროიდანაც კურსის მსვლელობისას გამოიყენება დაწესებულებაში სასწავლო პროცესთან დაკავშირებული და შესასრულებლად სავალდებულო ყველა რეგულაცია.
4. არჩევითი კურსის გავლისთვის სტუდენტი არ იხდის დამატებით საფასურს, გარდა იმ შემთხვევისა, თუ საჭირო არ გახდა მოდულის განმეორებით გავლა შედეგების გათვალისწინებით.
5. არჩევითი კურსია ხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პარალელურად, პროგრამისთვის გათვალისწინებულ სემესტრებზე გადანაწილებით.
6. არჩევითი კურსის განხორციელებით არ შეიძლება შემცირდეს პროფესიული პროგრამით დადგენილი კვირის ან/და მოდულის განხორციელებისათვის საჭირო დრო.
7. არჩევითი კურსის განხორციელება ზრდის სტუდენტის კვირეულ დატვირთვას.
8. არჩევითი კურსის გავლის სემესტრული გეგმის შესახებ დაწესებულების დირექტორი ამტკიცებს დამოუკიდებელ ცხრილს, რომელიც ქვეყნდება კოლეჯის ტერიტორიაზე, საამისოდ გამოყოფილ საინფორმაციო დაფაზე.

მუხლი 7. არჩევითი (არასავალდებულო) კურსის კრედიტების მინიჭება და სერთიფიკატის გაცემა

1. არჩევითი (არასავალდებულო) კურსის გავლა არ არის დაკავშირებული კვალიფიკაციის მინიჭებასთან, თუმცა მათი სრულად დადასტურებისა და კრედიტების მოპოვების შემთხვევაში კოლეჯის მიერ გაიცემა სერთიფიკატი შესაბამისი კურსის გავლის, მიღებული შეფასებისა და მინიჭებული კრედიტების ამსახველი ინფორმაციით.
2. არჩევითი არასავალდებულო კურსის გავლის დამადასტურებელი სერთიფიკატის გაცემა არ უთანაბრდება პროფესიულ დიპლომს და იგი გაიცემა მხოლოდ დიპლომთან ერთად ან/და მის გარეშე პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების გარეშე.
3. არჩევითი არასავალდებულო კურსის გავლის დამადასტურებელი სერთიფიკატი 4 სახისაა - წარჩინებული (80-დან ზემოთ), ძალიან კარგი (70-დან 80-მდე), კარგი (60-დან - 70 -მდე), დამაკმაყოფილებელი (55-დან 60-მდე) [წარჩინებული (90-დან ზემოთ), ძალიან კარგი (85-დან - 90-მდე), კარგი (80-დან - 85-მდე), დამაკმაყოფილებელი (75-დან - 80-მდე) - ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე და ვრცელდება 2018-2019 და შემდგომი სასწავლო წლის მიღების სტუდენტებისათვის; ცვლილება - დირექტორის 2018 წლის 05 ოქტომბრის N33 ბრძანება].

4. არჩევითი არასავალდებულო კურსის არასრულად გავლის ან/და სწავლის შედეგის მიუღწევლობის შემთხვევაში სტუდენტზე გაიცემა შესაბამისი ცნობა გავლილი მოდულებისა და საათების შესახებ (კრედიტის მინიჭების გარეშე).

მუხლი 8. არჩევითი (არასავალდებულო) კურსის განმახორციელებელი

1. არჩევითი კურსის განმახორციელებელი მასწავლებელი შეიძლება (გარდა მოდულისა - კომუნიკაცია საექტონო საქმეში) იყოს უმაღლესი განათლების ან პროფესიული განათლების IV ან V საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელი პირი, ან პრაქტიკოსი ექთანი, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება. მენტორობის/სწავლების გამოცდილება, სასურველია მენეჯერულ პოზიციაზე მინიმუმ 6 თვიანი გამოცდილება.
2. მასწავლებელთან ფორმდება მომსახურების ხელშეკრულება, სასწავლო დეპარტამენტის რეკომენდაციის შემდეგ, რომელიც პირველ ჯერზე შესაძლებელია დადებული იქნას მიმდინარე პერიოდში განსახორციელებელი მოდულის ხანგრძლივობის ვადით.

მუხლი 9. გარდამავალი დებულებები

1. წინამდებარე წესი ვრცელდება მისი ძალაში შესვლამდე არსებულ გარემოებებზე, თუ იგი არ აურესებს პროფესიული სტუდენტის უფლებებს.
2. ამასთან წესით გათვალისწინებული წერილობითი თანხმობა არ არის საჭირო იმ პირებისაგან, რომელთა მიერაც უკვე დადასტურებულია მოდულები და ამგვარ თანხმობად ჩაითვლება მათ პორტფოლიოში არსებული მოდულების გავლის დადასტურების შესახებ მტკიცებულებები.

მუხლი 10 . დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე დებულება დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის ბრძანებით.
2. მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება ასევე დირექტორის ბრძანების საფუძველზე.
3. დებულება ძალაში შედის მისი გამოქვეყნებისთანავე.